ოქმი:**ო63. 6323185001**
თარიღი:**04/07/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ.სამტრედია 27 ივნისი. 2023 წელი.

მიმდინარე წლის 27 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის მოადგილის, ლიზა კრავეიშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ლიზა კრავეიშვილი, ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია,ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, ბექა თევზაძე, გოჩა არველაძე, ირაკლი მელაშვილი, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე , გიორგი ლეჟავა, ჯონი თევზაძე.

მოწვეული სტუმარი : შპს ,,სამტრედიის მაცნე“_ს პასუხისმგებელი მდივანი - ლევან გაბეჩავა.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული უმოქმედო ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციის აღდგენის შესახებ.

   /მომხსენებელი: ლიზა კრავეიშვილი/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის შექმნისთვის შესასრულებელი და გაწეული სამუშაოების შესახებ.

   /მომხსენებელი: ტარიელ ცომაია/

3. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (16 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (16 ხმით), დღის

წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ლიზა კარვეიშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო ინიციატივა, სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული უმოქმედო ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციის აღდგენის შესახებ.

ლიზა კრავეიშვილი - მოგახსენებთ, რომ 1975 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში დაარსდა ბალნეოლოგიური კურორტი ,,სამტრედია“. წყალი უნიკალურია თავისი თვისებებით. კერძოდ, ტემპერატურა 60-63^{0}C, მინერალიზაცია 3,415 მგ ექვივალენტი. 2,0 მგ, ექვივალენტის ზევით წყალი იწოდება მინერალურად. მაშასადამე, არსებული წყალი იწოდება თერმო მინერალურად. მსგავსი სამკურნალო წყალი არსებობს მაცესტაში და შვეიცარიაში.

1994 წელს კურორტი ჩამოყალიბდა, როგორც სააქციო საზოგადოება. 51% წილის მფლობელი დარჩა სახელმწიფოს, ხოლო 49% აქციები შეიძინა თანამშრომლებმა. სხვადასხვა დროს 51% აქციებიც გაიყიდა და 100% წილის მფლობელი გახდა გოჩა ნადირაძე. მიუხედავად მისი მრავალგზის მცდელობისა, მიწის ნაკვეთის დარეგისტრირების გამო ვერ შეძლო აბაზანების ამუშავება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 5000მ^2 მიწის ნაკვეთი, რომელზედაც წყალი ამოედინება, მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, გადაეცა შ.პ.ს. ,,თერმო ვოთერ ჯორჯია“_ს 1(ერთი) ლარად.ასევე გადაეცა წყლის მოხმარების ლიცენზია 30 წლით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მინერალური წყლის ტენიკური დანიშნულების მიზნით გამოყენება დაუშვებელია. ამისთვის მოახდინეს მინარალიზაციის დაწევა და წყალი აქციეს უბრალო თერმულ წყლად, რაც შეიცავს საერიოზული დანაშაულის ნიშნებს. შ.პ.ს ,,იმერეთი გრინერი“ წყალს იყენებდა სათბურების გასათბობად. დღეისათვის აღნიშნულ ობიექტს ფლობს შ.პ.ს. ,,გლობალ ვიქთორი ჯორჯია“.

მოსახლეობამ მრავალჯერ მიმართა რაიონის ხელმძღვანელობას წყლის აბაზანების გამოყენების შესახებ. მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა სასურველი შედეგი ვერ დადგა.

მიმაჩნია, მოსახლეობის ინტერესებისა და მუნიციპალიტეტისათვის ფუნქციის დაბრუნების მიზნით გავააქტიუროთ ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს შეიქმნას მუშა ჯგუფი, რომელიც უმოკლეს ვადებში სიღრმისეულად შეისწავლის კურორტთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას. მოახდენს წყლის ლაბორატორიული შემოწმების ორგანიზებას, ლიცენზიის დეტალების შესწავლას. თუ კი დადგინდება წყლის მინერალიზაციის დაკნინების ფაქტი მიემართოს სამართალდამცავ სტრუქტურებს.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი კორდინირებული მუშაობით შევძლებთ მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და კურორტისათვის ფუნქციის დაბრუნებას, რომელიც იყო ჩვენი ქალაქის ,,სავიზიტო ბარათი“.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

მანანა სირბილაძე - შესანიშნავი ინიციატივაა.

ვალერიანე ფოცხვერია - მისასალმებელია.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრები (16 ხმით) ერთსულოვნად ეთანხმება ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციის

დაბრუნების მიზნით წყლის ანალიზის ლაბორატორიულ შემოწმებას და გაცემული ლიცენზიის კანონიერებას, ხოლო გაყალბებული ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში კანონიერ რეაგირებას.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ლიზა კარვეიშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის შექმნისთვის შესასრულებელი სამუშაობის შესახებ.

ლიზა კრავეიშვილი - საკრებულოს წევრების გარკვეული ნაწილი ვესწრებოდით სამტრედიის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის შექმნისთვის შესასრულებელი სამუშაობის შესახებ პრეზენტაციას, რომლის შესახებაც ინფორმაციას მოგაწოდებთ ბატონ ტარიელი.

ფრაქციის წევრებმა აზრი გამოთქვეს.

ტარიელ ცომაია - მინდა ავღნიშნო, რომ ასეთი მასშტაბის პროექტი ჯერ არ განხორციელებულა. პროექტი ეკუთვნის გერმანულ კომპანიას, ისინი თავად არჩევენ სამშენებლო კომპანიებს და ზედამხედველობასაც თვითონ გაუწევენ. სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 3 წლის განმავლობაში, რომელიც მოიცავს სამტრედიის მუნიციპალიტეტეს სრულად.

ჩემი თხოვნაა, რომ ეს ინფორმაცია მივიტანოთ მოსახლეობასთან.

გიორგი ლეჟავა - მისასალმებელი პროექტია, რომელიც მარადიულ პრობლემას გადაწყვეტს.

ვალერიანე ფოცხვერია - მოგახსენებთ, რომ ჩვენი ხელისუფლების მოსვლის დღიდან მოგვარდა ისეთი პრობლემები როგორიცაა გაღმა ზონის გაზიფიცირება, განსაკუთრებული პრობლემა იყო წყლის სისტემა. ნაწილის მოწესრიგება დღესაც მიმდინარეობს, ესაა კანალიზაცია და არხები.

ვაჟა სტურუა - გერმანული კომპანია ჩვენი მუნიციპალიტეტის ინფრსატრუქტურის სამსახურთან და წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს ყველა ნიუანს.

ნუგზარ ჯამბურია - უნდა ავღნიშნო, რომ საუკუნის პროექტია.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრებმა (16 ხმით) ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ლიზა კრავეიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი